

ცაგერის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია შეიქმნა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად. კომისია შექმნილია დებულებით დადგენილი საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, კონტროლის მიზნით.

კომისია აერთიანებს საკრებულოს ხუთ წევრს. კომისია აქტიურად არის ჩართული საკრებულოს საქმიანობაში, მონაწილეობას ღებულობს თითქმის ყველა საკითხის განხილვაში, მათ შორის ბიუჯეტის შედგენა-ფორმირება, ბიუჯეტის დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავება-დამტკიცება. საკითხების განხილვა ხდება კომისიურად წინასწარ და საკრებულოს ბიუროს სხდომაზე და საკრებულო სხდომებზე საკითხი შედის დასაბუთებული და არგუმენტირებული. კომისიის მუშაობის შედეგად ბიუჯეტში შეტანილი იქნა ისეთი ცვლილებები როგორცაა სკოლამდელი დეწესებულებების თანამშრომელთა ხელფასების ზრდის, ერთი და იგივე რანგზე შრომის ანაზღაურების გათანაბრების საკითხები. კომისიის აქტიური მხარდაჭერით მუნიციპალიტეტში ხორციელდება საგანმანათლებლო, ახალგაზრდული, სპორტული, კულტურული, სოციალური ღონისძიებები. კომისიამ განიხილა 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, განახორციელა შენიშვნები და შეიმუშავა მომავალ ბიუჯეტში გასათვალისწინებელი რეკომენდაციები ბიუჯეტის ხარჯვის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების დაგეგმვა-დამტკიცების დროს კომისიამ მხარი დაუჭირა მუნიციპალიტეტის სოფლებში ბაგა-ბაღების, სპორტული მოედნების მშენებლობას და რეაბილიტაციას, ტურისტულად მიმზიდველი ობიექტების მშენებლობას და ინფრასტრუქტურის განვითარებას, ადგილობრივი გზების, წყალსადების მშენებლობას. ზოგადად კომისია მხარს უჭერს ისეთ პროექტებს რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდას, მის განვითარებას, მიგრაციული პროცესების შეჩერებას და ახალგაზრდობის ადგილზე დამაგრებას.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის განხილვის დროს კომისიამ იმსჯელა და შენიშვნებით დაუბრუნა მერიას, რომლის დიდი ნაწილის გათვალისწინება მოხდა. მიმდინარე წელს კომისიამ ჩაატარა 12 სხდომა. სხდომებზე განხილული იქნა 2018 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, ასევე მოხდა ბიუჯეტის ყოველკვარტალური განხილვა და შესრულების ანგარიშის წარდგენა საკრებულოს სხდომაზე. 2018 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სულ განხორციელდა 8 ცვლილება და ბიუჯეტმა შეადგინა 12100,9 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ კრიტიკულად განიხილა ა(ა)იპ-ების მიერ შესრულებული სამუშაოები და გამოვიდა ინიციატივით, მოხდეს რეორგანიზაცია და ფუნქციების განსაზღვრა-გამიჯვნა მათი ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

როგორც კომისიის თავმჯდომარე რეგულარულად ვიწვევ კომისიის სხდომებს, გამოვდივარ კომისიის სახელით საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე. ვხვდები მოსახლეობას, ვადგენ სამუშაო გეგმებს და ვასრულებ ამ გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

მოსახლეობასთან შეხვედრების დროს ყველაზე მეტად მოსახლეობის უკმაყოფილება ხდება განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით. კერძოდ მოსახლეობამ არ იცის რა კეთდება ან რა არის ამ პროექტის ღირებულება. ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა და დამტკიცება უნდა ხდებოდეს მოსახლეობასთან შეთანხმებით და მისი მიმდინარეობა უნდა იყოს გამჭვირვალე, რაც გაზრდის კონტროლის მექანიზმს და ხელს შეუწყობს ადგილობრივი ხელისუფლებისადმი ნდობის გაზრდას. ამის შესახებ კომისიამ იმსჯელა საკრებულოს სხდომებზე.

კომისიამ იმუშავა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტზე. ბიუჯეტის განხილვის დროს აღინიშნა, რომ პრიორიტეტად აღებული იქნას მოსახლეობის სოციალური დაცვა და სოციალური პროექტები. ამ მიზნით საჭიროა შესაბამის მუხლში დაფინანსების გაზრდა. კომისიამ ასევე აღნიშნა, რომ საჭიროა ამუშავდეს საჯარო მოსამსახურეთა წახალისების მექანიზმი კანონის შესაბამისად.